ყველაფერი მოთავდებოდა, რომ...

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 3 ნოემბერი.

“ნეფტჩი” (ბაქო) - “დინამო” (თბილისი) - 1:1 (0:0).

“ნეფტჩი”: კრამარენკო, ყულიევი, ბრუხტი, ი. ბაბაევი, ტროფიმოვი, მირზოევი, რახმანოვი, შევჩენკო (ვისულაევი), აბდულაევი, სმოლნიკოვი, სტეკოლნიკოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი (კუტივაძე), ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები - 2:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

თბილისის დინამოელთათვის ამ დღეს ყველაფერი მოთავდებოდა, გამარჯვება რომ მოეპოვებინათ. როცა ვამბობთ - “ყველაფერი მოთავდებოდა”, ვგულისხმობთ XXXI საკავშირო ჩემპიონატში III საპრიზო ადგილის დაკავებას. მაგრამ, ამას გარდა, ეს ფრაზა ვიხმარეთ იმიტომაც, რომ თბილისელები ამ მატჩში ყველაფერს მოითავებდნენ უფრო მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ გადამწყვეტი დარტყმებისას. ვინ მოთვლის, რამდენი მომენტი ჰქონდათ გავაშელს, ორივე ნოდიას, ასათიანს და სხვებსაც. მას შემდეგაც, როცა გუნდმა ანგარიში გაათანაბრა და ქულა გადაარჩინა, “ნეფტჩის” კართან რამდენიმე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როცა მხოლოდ ერთ ზუსტ დარტყმას შეეძლო ყოველგვარი კითხვის ნიშანი მოეხსნა ბრინჯაოს მფლობელის თაობაზე. დინამოელებმა ვერ გამოიყენეს ეს უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობანი და კითხვის ნიშანი ისევ დატოვეს “დღის წესრიგში”, თუმცა დარწმუნებული ვართ, ეს III ადგილი საბოლოოდ მაინც მათ დარჩებათ.

სტუმრებმა მაღალ ტემპში, სწრაფად დაიწყეს თამაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბდულაევის ორ სახიფათო დარტყმას, როცა ურუშაძეს ძნელი ბურთების აღება მოუხდა, თამაშის მთელი სიმძიმე “ნეფტჩის” დააწვა. ბაქოელები თავგამოდებით იბრძოდნენ და შეძლეს 45 წუთის ჩატარება ისე, რომ არ გაუშვიათ ბურთი.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და კრამარენკოსთან ერთი-ერთზე გასულმა გავაშელმა საშუალება მისცა მეკარეს ეხსნა კარი გარდუვალი გოლისგან. სამაგიეროდ, გავიდა წუთი და “ნეფტჩის” საპასუხო იერიში გოლით დამთავრდა: ურუშაძის მოგერიებულ ბურთს მიუსწრო აბდულაევმა და დაბალ კუთხეში გაგზავნა იგი.

თბილისელები კარგა ხანს მოუნდნენ ამ ბურთის გაქვითვას. ბოლოს, 68-ე წუთზე “ნეფტჩის” კარში დანიშნული საჯარიმო კარგად იქნა გათამაშებული და როცა კარიდან წინ გამოსული კრამარენკო ვერ მისწვდა ბურთს, ძალზე მოფიქრებულად, უშეცდომოდ ითამაშა კუტივაძემ. მის მიერ მარჯვენა ფლანგიდან დარტყმული ბურთი ზუსტად ჩაეშვა შორეულ კუთხეში.

ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტები შემდგომშიც სახიფათოდ უტევდნენ და ისევ კარგავდნენ ხელსაყრელ შესაძლებლობებს. საბოლოოდ, “ნეფტჩიმ” დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო ამ ანგარიშის შენარჩუნება.

პ. მირიევი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 5 ნოემბერი, 1969 წ.